ხელშეკრულება # 60-7-219-5659

ქ. თბილისი **2019 წ.** 30.12

I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2019 წლის 30.12, ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას", წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის სახით (მინდობილობა N181378706) (შემდგომში – ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ჯეო ავტო 1"-ს (შემდგომში– ,,მიმწოდებელი") შორის, წარმოდგენილი დირექტორის მეხტი ამირასლანოვის სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II. ხელშეკრულების საგანი

2.1 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ,,შემსყიდველს" მიაწოდოს სათადარიგო ნაწილი (თანმდევი მომსახურებით) (CPV 34300000) დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

2.2 დანართი #1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

III. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 NISAN LEAF-ის (ელექტრომობილი) ტიპის ა/მანქანების სათადარიგო ნაწილის (თანმდევი მომსახურებით) სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **3 000 (სამი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება"). ავტოსატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება ითვალისწინებს ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახდს.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად მიწოდებულ სათადარიგო ნაწილზე (თანმდევი მომსახურებით) მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "მიმწოდებელი" მოვალეა:

4.1.1 გადასცეს "შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი საქონელი (თანმდევი მომსახურებით).

4.2. "შემსყიდველი" მოვალეა:

4.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება;

4.2.2 შეამოწმოს საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მდგომარეობა ვარგისიანობაზე;

4.2.3 წერილობით შეატყობინოს "მიმწოდებელს" მიღების ან ექსპლუატაციის დროს საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

V. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სს ,,სსე"-ს ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) გასაწევი მომსახურების

ვადა- ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, ,,შემსყიდველის" მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ,,მიმწოდებლის" სერვის ცენტრ(ებ)ში მიყვანიდან ან/და სადეფექტო აქტის შედგენიდან (მომსახურების ვადა თითოეულ შემთხვევაზე არ უნდა აღემატებოდეს): არაუმეტეს ერთი სამუშაო დღე.

- თუ ავტომანქანის შეკეთებისას საჭირო გახდა დეფიციტური სათადარიგო ნაწილი (რომლის ყიდვა მოცემული მომენტისათვის შეუძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე) შესაძლებელია მომსახურების გაწევის ვადა გაიზარდოს არაუმეტეს 25 (ოცდახუთი) კალენდარულ დღემდე. ,,მიმწოდებელმა" დეფიციტური ნაწილის შესახებ ინფორმაცია წერილობით უნდა აცნობოს ,,შემსყიდველს" მომსახურების
- დაწყებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღისა, რომლესაც თან უნდა დაერთოს შეკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტის ასლი).

შენიშვნა:

ა) ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ,,შემსყიდველის" უფლებამოსილ წარმომადგენელთან ერთად შეადგინოს სადეფექტო აქტი გასაწევ ტექნიკურ მომსახურებაზე ერთი სამუშაო დღის ვადაში.

ბ) თუ მიმწოდებელი ვერ ახერხებს საკუთარ სერვის ცენტრში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებას და მომსახურებას განახორციელებს ხელშეკრულებით გაუთვალისწინებულ სხვა სერვის ცენტრში, მაშინ ტრანსპორტირების ხარჯებს აანაზღაურებს ,,მიმწოდებელი".

5.2 სს ,,სსე-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12კმ #5

VI. გარანტია

6.1 ,,მიმწოდებლის" მიერ სს ,,სსე"-ს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებით (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ ნაწილებზე საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 6 (ექვსი) თვეს ნორმალური ექსპლოატაციის შემთხვევაში, გარდა სწრაფ ცვეთადი დეტალებისა, კერძოდ და იმ შემთხვევისა როდესაც, დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციით კერძოდ: გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით.

შენიშვნა: საგარანტიო პერიოდში ,,მიმწოდებელი" ვალდებულია წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ, ,,შემსყიდველის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი და მისგან გამოწვეული დაზიანება.

6.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, "მიმწოდებელი" ვალდებულია თავისი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი და მისგან გამოწვეული დაზიანება ,,შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინების მიღებიდან, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში.

VII. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით მომსახურების დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, მომსახურების ჯეროვნად და სრულად გაწევამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.2 ამ ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო “მიმწოდებელს” გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელი“ არ გამოასწორებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზს ამ ხელშეკრულებით საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის დადგენილ ვადებში - შესატყვისი ვადის გასვლიდან ხარვეზის გამოსწორების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.3 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, ,,მიმწოდებლი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

7.5 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და “მიმწოდებელზე” დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ,,შემსყიდველისათვის“ 7.3 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

7.6 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრულად არშესყიდვის შემთხვევაში “შემსყიდველს” პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

VIII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 “მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს “შემსყიდველი” კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ “შემსყიდველი” კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მისი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით “შემსყიდველი”.

8.2 “მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს “მიმწოდებელს” მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

8.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს “შემსყიდველის” მხრიდან უზრუნველყოფს სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ტრანსპორტის მონიტორინგის და სერვისის განყოფილების უფროსი დავით თევდორაშვილი.

8.5 კონტროლი განხორციელდება გაწეული ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) ხარისხისა და მომსახურების გაწევის ვადის შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

IX. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ეტაპობრივად, დეფექტური აქტის საფუძველზე ფაქტიურად შესრულებული მოცულობის მიხედვით ტოიოტას ტიპის ა/მანქანების გაწეულ ტექნიკურ მომსახურებაზე (სერვისი სათადარიგო ნაწილებით).

9.2 "მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 8.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

9.4 „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნოდარ ქუბრიაშვილი.

X. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს – მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ საბუთად მხარეები განიხილავენ შესაბამისის ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულად სათანადო ცნობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

XI. ურთიერთობა მხარეებს შორის

11.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XII. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

12.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

12.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

12.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

12.3 “შემსყიდველს” შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

12.3.1. თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.3.2. “შემსყიდველის” გადახდის უუნარობის დადგენის შემთხვევაში;

12.3.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხელშეკრულების საგნის შესახებ ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, ,,შემსყიდველის“ მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

12.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ ხელშეკრულების 12.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

XIII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XIV. დავათა განხილვა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XV. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთანავე მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში საგარანტიო ვადის ბოლომდე.

XVI. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

16.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლე-თათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

XVII. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა

17.1 მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს", რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

XVIII. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი":

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ. 2
საიდ. კოდი: 204995176
სს ,,თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა #GE02TB0600000102467636

დავით ვარდიაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი

"მიმწოდებელი":

შპს „ჯეო ავტო 1"
ტელ: 2541010
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #4 მ/ტ
ს/კ 205283067
სს ,,თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა #GE93TB0620036020100007

მეხტი ამირასლანოვი
დირექტორი

დანართი #1

ფასების ცხრილი

რეგლამენტით გათვალისწინებული ექსპლოატაციის შემთხვევაში გასაწევი ტექნიკური მომსახურების (სათადარიგო ნაწილებით) ნუსხა ა/მ NISAN LEAF (სახ/N - EL100EL, EL200EL, EL300EL, EL400EL, EL500EL)

#	ძირითადი დეტალების დასახელება	ერთეული	სათადარიგო ნაწილის ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით	მომსახურების ერთეულის სავარაუდო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
	საერთო ცხრილი ტექნიკურ პირობაში წარმოდგენილი ყველა ავტომანქანისათვის			
1	კონტაქტების საწმენდი სითხე	ცალი	25,00	
2	ელექტრო დამცველი	ცალი	2,00	
3	ნათურა ჰალოგენის	ცალი	30,00	10,00
4	ნათურა სანისლე	ცალი	15,00	10,00
5	ნათურა გაბარიტის	ცალი	3,00	10,00
6	ნათურა სანომრე ნიშნის	ცალი	8,00	10,00
7	ნათურა სტოპის	ცალი	8,00	10,00
8	ნათურა მოხვევის მაჩვენებლის	ცალი	5,00	10,00
9	ნათურა უკუსვლის	ცალი	8,00	10,00
10	ნათურა სპიდომეტრის დაფის	ცალი	5,00	50,00
11	ნათურა სალონის	ცალი	6,00	10,00
12	მინის საწმენდი ჯაგრისი	კომპლ	200,00	5,00
13	მინის საწმენდი ჯაგრისი (უკანა მინის)	ცალი	80,00	5,00
14	საბურავის მოხსნა-დაყენება	ნორმა		5,00
15	საბურავის ბალანსირება	ნორმა		10,00
16	საბურავის დაშლა-აწყობა	ნორმა		5,00
17	საბურავის შეკეთება	ნორმა		5,00
18	საბურავის დისკის გასწორება	ნორმა		60,00
19	საყრდენი დისკის მოხეხვა (წყვილი)	ნორმა		100,00
20	ხელის მუხრუჭის რეგულირება	ნორმა		20,00
21	გასაღები პულტის ელემენტი	ცალი	5,00	
22	საყვირი (სიგნალი)	კომპლ	220,00	30,00
23	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	ნორმა		30,00
24	კვების სისტემის დიაგნოსტიკა	ნორმა		30,00

25	სახურავის ლუქის არხების გაწმენდა	ნორმა		50,00
26	პარკირების სენსორი	კომპლ	70,00	130,00
27	თვლების განშლისა და შეყრის კუთხის გასწორება	ნორმა		40,00
28	ფილტრი სალონის	ცალი	75,00	20,00
29	ხუნდები წინა	კომპლ	280,00	20,00
30	ხუნდები უკანა	კომპლ	240,00	20,00
31	ამორტიზატორი წინა	კომპლ	500,00	60,00
32	ამორტიზატორი უკანა	კომპლ	350,00	40,00
33	სამუხრუჭე დისკი წინა	ცალი	400,00	50,00
34	სამუხრუჭე დისკი უკანა	ცალი	440,00	50,00
35	საჭის წევის მტვერდამცავი	ცალი	220,00	40,00
36	საჭის წევის დაბოლოება	ცალი	250,00	25,00
37	საჭის მექანიზმის აღდგენა	ნორმა		600,00
38	ბერკეტი (გიტარა)	ცალი	550,00	40,00
39	მშრალი ამორტიზატორის რეზინი	ცალი	30,00	30,00
40	მორგვის საკისარი წინა	კომპლ	500,00	50,00
41	მორგვის საკისარი უკანა	კომპლ	680,00	50,00
42	ბერკეტის ბურთულა თითი (შარავოი) მტვერდამცავით	ცალი		50,00
43	ღერო (სტერჟინი)	ცალი	70,00	20,00
44	სამუხრუჭე სითხე	ლიტრი	40,00	10,00
45	სავალი ნაწილის დიაგნოსტიკა	ჯერ		10,00

„შემსყიდველი“:
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დავით ვარდიაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.12.30 12:14:41 +04'00'

“მიმწოდებელი“:
შპს „ჯეო ავტო 1“

მეხტი ამირასლანოვი
დირექტორი